# პროექტის ფაქტები

Funded by the European Union

**ევროკავშირი დიალოგისთვის: კონფლიქტის მხარეებს შორის ურთიერთგაგების ხელშეწყობა**

**განხორციელების ვადა:** 17.07.2020 - 15.07.2025

**EaP ქვეყნები:**
აზერბაიჯანი, მოლდოვა, საქართველოს, სომხეთი

**ევროკავშირის წვლილი:** € 3 894 700

**მთლიანი ბიუჯეტი:** € 3 894 700

**განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):**
Konrad-Adenauer-Stiftung e.V. DE

**პროექტის აღწერა:**

„ევროკავშირი დიალოგისთვის: კონფლიქტის მხარეებს შორის ურთიერთგაგების ხელშეწყობა“ არის ფართო პროგრამის - „ევროკავშირი დიალოგისთვის“ - პირველი კომპონენტი. პროექტი მიზნად ისახავს შექმნას გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს დაძაბულობის განმუხტვას, წაახალისებს დიალოგს და ურთიერთგაგებას დაპირისპირებულ მხარეებს შორის სამხრეთ კავკასიასა და მოლდოვას რესპუბლიკაში.
პროექტის მიზანია, გაუწიოს ტექნიკური დახმარება ევროკავშირსა და შესაბამის აქტორებს სამხრეთ კავკასიასა და მოლდოვას რესპუბლიკაში და ასევე, განავითაროს სინერგიები სხვადასხვა აქტივობებთან.

**მოსალოდნელი შედეგები:**

პროექტმა უნდა მიაღწიოს შემდეგ ძირითად შედეგებს:
- შექმნას დიალოგის მრავალდონიანი პლატფორმები, რომლებიც მოიცავს შეხვედრებსა და ვორკშოპებს რეგიონულ დონეზე, გამყოფი ხაზების სხვადასხვა მხარეს მყოფ ადამიანებს შორის ურთიერთობების ხელშეწყობის მიზნით.
- განახორციელოს შესაძლებლობების განმავითარებელი ღონისძიებები, რომლებიც მხარეებს შორის წაახალისებს გაცვლასა და ურთიერთობებს, როგორც ქვეყნებს შიგნით, ისე ქვეყნებს შორის და ევროკავშირთან. შესაძლებლობების განმავითარებელი ღონისძიებები დაეფუძნება შესაბამის საჭიროებებსა და დაგეგმილ კონსულტაციებს.
- აამაღლოს ინფორმირებულობის დონე და ევროკავშირის პოლიტიკის გაგება ფართო მასებში, რაც გაზრდის მშვიდობისა და დიალოგის სარგებლის გაცნობიერებას.